სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ვლადიმერ წითლაურის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	88	100

თარიღი: 17.09.2024

ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ვლადიმერ წითლაურის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (17 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **ვლადიმერ წითლაური** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 34 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტი, 2023 წელი). სპეციალობით მუშაობს 12 წელი და 6 თვე, კერძოდ:
- 2011 წლის ივნისი - 2011 წლის დეკემბერი - სტაჟიორი - საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- 2012 წლის მარტი - 2012 წლის სექტემბერი - სტაჟიორ - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველო;

- 2013 წლის მაისი - 2014 წლის აგვისტო - გამომძიებელი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;
- 2014 წლის აგვისტო - 2015 წლის აპრილი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველო;
- 2015 წლის აპრილი - 2018 წლის თებერვალი - საგამოძიებო განყოფილების უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველო;
- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის თებერვალი - 2019 წლის ივლისი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო;
- 2019 წლის ივლისი - 2023 წლის დეკემბერი - საგამოძიებო სამმართველოს უფროსი - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი;
- 2023 წლის დეკემბერი - 2023 წლის ივლისი - განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, თვითკრიტიკულობას, პასუხისმგებლობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. ამასთან, კანდიდატს ახასიათებენ, როგორც თავაზიან, სამართლიან, კეთილსინდისიერ, დამოუკიდებელ, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე საიმედო პიროვნებას. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში მის აკადემიურ და საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით; „კანდიდატი" სარგებლობს სოციალური

ქსელით; იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი. ვადაგადაცილებები და ჯარიმები. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი, 3054 კვ.მ. 2758 კვ.მ. 33%; 3706 კვ.მ. 33%; 2618 კვ.მ. 33%; და 2925 კვ.მ (50%) სოფელი სამთავისი. ბინა, ქ. თბილისი, წყალტუბოს ქუჩა N24, 68 კმ.მ.; მიწის ნაკვეთი, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი გოსტიბე, 2668 კვ.მ.; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. 2021 წლის 24 ივლისიდან 2024 წლის 24 ივლისის ჩათვლით პერიოდში, „კანდიდატს“ არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტი.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატი“ დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17, რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 1.
დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „ადმინისტრაციულ სამართალში ვლადიმერ წითლაურმა წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არის სწრაფი და დამაჯერებელი, მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია; ვლადიმერ წითლაური სისხლის სამართლის სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას. სამოქალაქო სამართალში ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების მეტად განვითარებაზე.“

ამავე დასკვნის თანახმად: „კანდიდატის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით, გასაგები ენით, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე. კანდიდატის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლება, იგი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა, შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. ვლადიმერ წითლაურს შეუძლია მეტწილად ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცეს აზრი, ყურადღება მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილოს."

2.1.8. „კანდიდატმა" წარმოადგინა სამართლებრივი პუბლიკაციები და ნაშრომები: „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015 წელი; „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული N8, 2017 წელი; „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N4, თბ. 2022 წელი; ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბ. 2011 წელი; არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, 2024 წელი.

2.1.9. „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი; ლექტორის (ინსტრუქტორის) მომზადების კურსი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი; სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი. სასაზღვრო და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022 წელი; გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე - ამერიკის საელჩო, 2023 წელი და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი"ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

2.1.11. „კანდიდატი" ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატს" ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს“ გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების კარგი ცოდნა. საჯარო მოსმენაზე მისი პასუხები არგუმენტირებული იყო. „კანდიდატი“ ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მან ასევე წარმატებით გაართვა თავი საერთაშორისო

სამართლიდან დასმულ შეკითხვებს. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს" გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებაც. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნით ირკვევა, „კანდიდატის" მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლება, იგი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს" გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის" შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დავადგინე, რომ „კანდიდატის" მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით, გასაგები ენით, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე. რაც შეეხება, „კანდიდატის" ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, „კანდიდატი" გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი" პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. „კანდიდატმა" საჯარო მოსმენაზე გასაგებად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. აქვე აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის არაერთი ნაშრომის ავტორი, იგი საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4.1.6. „კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. „კანდიდატი" ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატი - ვლადიმერ წითლაური კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 88 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 21

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 21

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 19

„დ“ პროფესიული თვისებები - 12

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10

„ვ“ პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშვენიერაძე